

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი № 23

თბილისი

20.09.2011

სხდომას ესწრებოდნენ:

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრები:

იოსებ სალუქვაძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სრული პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

გაიანე სიმონია - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის შინაგანი მედიცინის დეპარტამენტის სრული პროფესორი, სამედიცინო განათლების, კვლევების და სტრატეგიული განვითარების ცენტრის ხელმძღვანელი, საბჭოს მდივანი;

ლალი ღოღელიანი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორი, სამშენებლო ფაკულტეტის დეპარტამენტის თავმჯდომარე, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესიული განვითარების ცენტრის ხელმძღვანელი;

ანა კლდიაშვილი - სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ხელოვნების ისტორიის, რესტავრაციისა და თეორიის ფაკულტეტის სრული პროფესორი;

ნინო მოწენიძე - საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის აღმასრულებელი საბჭოს წევრი;

კონსტანტინე ნანოზაშვილი - საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი;

დავით კახნიაშვილი - საქართველოს კერძო სკოლების ასოციაციის თავმჯდომარე, სკოლა „მწიგნობართუხუცესის“ დირექტორი (სხდომას ესწრებოდა მე-7 საკითხის განხილვამდე).

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:

პეტრე წურწუშია - დირექტორის მოადგილე;

ნანა ჭილაძე - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსი;

სალომე ფრუიძე - ავტორიზაციის სამმართველოს უფროსი;

ლაშა მარგიშვილი - ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორი;

ლიკა გიორგაძე - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;

ირმა ნოზაძე - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;

ნინო ბეგიაშვილი - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;

ნინო ფურცხვანიძე - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;

ანა ბუჩუკური - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;

თამარ ურუშაძე - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;

თეა შაყულაშვილი - სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

ავტორიზაციის მადიებელი დაწესებულებების წარმომადგენლები:

1. ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ხარისხის მართვის სამსახურის თანამშრომელი ირინე შაქარაძე;

2. შპს - სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი ვალერი სუხიშვილი;

3. შპს - „ბესიკ ნიპარიშვილი“ - მრავალპროფილიანი სკოლა - გიმნაზიის დირექტორი ბესიკ ნიპარიშვილი;

4. შპს - „ნინო გერგიძე - კერძო მრავალპროფილიანი საშუალო სკოლა „ივერიის“ დირექტორი ნინო გერგიძე, დაფუძნებული დავით რიჭამაძე;
5. შპს - გიმნაზია „21-ე საუკუნის“ დირექტორი ი. ქიქავა, სასწავლო ნაწილის გამგე ნაირა ტულუში;
6. შპს - ევროპული სკოლის კოორდინატორი სასწავლო დარგში ნანა ივანიძე; სკოლის კონსულტანტი იურიდიულ საკითხებში ლევან მოსახლიშვილი;
7. შპს - ქართული გიმნაზიის დირექტორი ნინო კვარაცხელია;
8. შპს - „სინათლე“-ის დირექტორი თამარ უთნელიშვილი;
9. შპს - მრავალდარგობრივი გიმნაზია „იბერიის“ დირექტორი მადლენა მახარაძე;
10. შპს - „მერცხლის“ დირექტორი მარინე ბერიშვილი;
11. შპს - „კაი ყმის“ დირექტორი თამარ ჩანტლაძე, დირექტორის მოადგილე მარეხი კადაშვილი;
12. შპს - რობერ შუმანის სახელობის ევროპული სასწავლებლის დამფუძნებლები თამარ სარაჯიშვილი, ხათუნა კერესელიძე, დირექტორი იზა ჯინჯიხაძე.

ავტორიზაციის ექსპერტები:

ელენე გვენცაძე;
მარიამ ხურცილავა;
ნინო ფეტვიაშვილი;
კახა ჟღენტი;
ლიანა კობესაშვილი;
რეზო ნინუა.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნა 19²⁵ სთ-ზე და შეამოწმა კვორუმის არსებობა. თავმჯდომარემ დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა;
2. შპს - სუბიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა;
3. შპს - „ბესიკ ნიპარიშვილი“ - მრავალპროფილიანი სკოლა - გიმნაზიის მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა;
4. შპს - ნინო გერგიძე - კერძო მრავალპროფილიანი საშუალო სკოლა „ივერიის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. შპს - გიმნაზია „21-ე საუკუნის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. შპს - ევროპული სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
7. შპს - ქართული გიმნაზიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
8. შპს - „სინათლე“-ის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
9. შპს-„მჭევრის“ დამოუკიდებელი ბიზნეს სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
10. შპს - მრავალდარგობრივი გიმნაზია „იბერიის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
11. შპს - „მერცხლის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

12. შპს - „კაი ყმის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

13. შპს - რობერ შუმანის სახელობის ევროპული სასწავლებლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებს და სხვა დაინტერესებულ პირებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შუამდგომლობები არ ყოფილა.

ცენტრის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსმა, ნანა ჭილაძემ, აღნიშნა, რომ შემოსული იყო შპს - „მჭევრის“ დამოუკიდებელი ბიზნეს სკოლის დასაბუთებული შუამდგომლობა, აღნიშნული დაწესებულების ავტორიზაციის საკითხის განხილვის გადადების შესახებ და, ცენტრის პოზიციით, მიზანშეწონილი იყო შუამდგომლობის დაკმაყოფილება.

საბჭომ დააკმაყოფილა შუამდგომლობა ერთხმად დაამტკიცა სხდომის დღის წესრიგი შემდეგი სახით:

1. ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა;

2. შპს - სუბიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა;

3. შპს - „ბესიკ ნიპარიშვილი“ - მრავალპროფილიანი სკოლა - გიმნაზიის მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა;

4. შპს - ნინო გერგიძე - კერძო მრავალპროფილიანი საშუალო სკოლა „ივერიის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

5. შპს - გიმნაზია „21-ე საუკუნის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

6. შპს - ევროპული სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

7. შპს - ქართული გიმნაზიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

8. შპს - „სინათლე“-ის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

9. შპს - მრავალდარგობრივი გიმნაზია „იბერიის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

10. შპს - „მერცხლის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

11. შპს - „კაი ყმის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

12. შპს - რობერ შუმანის სახელობის ევროპული სასწავლებლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

1. ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების განაცხადსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - საგანმანათლებლო დაწესებულების განაცხადი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის წარმომადგენელმა ირინე ბაქრაძემ საბჭოს წარუდგინა უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა თამარ ურუშაძემ, რომელმაც საბჭოს მოახსენა ჯგუფის მიერ დასკვნაში ასახული შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტს საკუთრების უფლებით აქვს 2254.6 კვ. მ. ფართი: ქ. თბილისში, ბროსეს ქ. N 2-ში - 779 კვ. მ. და გორგასალის ქ. N 101-ში 1475,6 კვ. მ.

ინსტიტუტის ზემოაღნიშნული ფართი აღჭურვილია სათანადო ინვენტარით. დაწესებულების მფლობელობაშია 179 კომპიუტერი, აქედან სტუდენტების სარგებლობისათვის გამოიყენება 124. აღნიშნული ინვენტარისა და კომპიუტერების ფლობა დასტურდება შესყიდვის დოკუმენტაციით და სასაქონლო ზედნადებებით. დღეისათვის დაწესებულების აკადემიური პერსონალის რაოდენობაა 25 (სრული პროფესორი - 12, ასოცირებული პროფესორი - 4, ასისტენტ-პროფესორი - 9. დაწესებულების აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს.

სხდომის თავმჯდომარემ დააზუსტა, რომ ექსპერტი მხოლოდ ფაქტობრივ გარემოებებზე საუბრობდა და რაიმე შენიშვნა არ იყო დაფიქსირებული. მომხსენებელმა აღნიშნული დაადასტურა.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეთანხმებოდა ექსპერტთა შეფასებას.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა, ამჟამად, რამდენი სტუდენტი ჰყავდა დაწესებულებას. ინსტიტუტის წარმომადგენლის განცხადებით, მათ 407 სტუდენტი ერიცხებათ.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა პროგრამების თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა მოითხოვა კონტინგენტის 600-ით განსაზღვრა.

თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ექსპერტს, ადასტურებდა თუ არა იგი, რომ დაწესებულება, მისი რესურსების გათვალისწინებით, შეძლებდა ამ რაოდენობის სტუდენტთა მიღებას. ექსპერტი დაეთანხმა დაწესებულების პოზიციას და აღნიშნა, რომ დაწესებულებას შეეძლო 600 სტუდენტისთვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტისათვის სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 600-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების 33-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების, 33¹ მუხლის მე-3 პუნქტისა და 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტს სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 600-ით.

2. შპს - სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტში სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების განაცხადსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - საგანმანათლებლო დაწესებულების განაცხადი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ფურცხვანიძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ ვიზიტის დროს შენიშვნები არ დაფიქსირებულა და ისაუბრა შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე:

დაწესებულების მფლობელობაშია ქ. გორში, ორ მისამართზე არსებული ფართი 5307.1 კვ. მ. (ცხინვალის გზ. №9 - 2785,4 კვ. მ. და გორგასლის ქ. №1/ა - 2521,7 კვ. მ.).

უნივერსიტეტს აქვს სპორტული დარბაზი (2097 კვ. მ.), სადაც ექსპერტთა ვიზიტის დროს მიმდინარეობდა სარემონტო და კეთილმოწყობის სამუშაოები. დაწესებულებას საკუთრებაში აქვს 62 კომპიუტერი. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი მოიცავს 15321 ერთეულს, რომელიც შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამებში მითითებულ ლიტერატურას.

შპს - სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის რაოდენობაა 32, მათ შორის: სრული პროფესორი - 12; ასოცირებული პროფესორი - 13; ასისტენტ-პროფესორი - 7.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეთანხმებოდა ექსპერტთა შეფასებას და შენიშვნა არ დაუფიქსირებია.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, დაეფიქსირებინა თავისი პოზიცია ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა, პროგრამების თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოითხოვა სტუდენტთა კონტინგენტის 1500-ით განსაზღვრა.

თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ექსპერტს, ადასტურებდა თუ არა იგი, რომ დაწესებულება, მისი რესურსების გათვალისწინებით, შეძლებდა ამ რაოდენობის სტუდენტთა მიღებას. ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას შეეძლო 1500 სტუდენტისთვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტისათვის სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1500-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/6 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 33-ე

მუხლის პირველი და მეორე პუნქტების, 33¹ მუხლის მე-3 პუნქტისა და 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, შპს - სუბიშვილის სასწავლო უნივერსიტეტს სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1500-ით.

3. შპს - „ბესიკ ნიპარიშვილი” - მრავალპროფილიანი სკოლა - გიმნაზიის მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა შპს - „ბესიკ ნიპარიშვილი” - მრავალპროფილიანი სკოლა - გიმნაზიის წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების განაცხადს და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - საგანმანათლებლო დაწესებულების განაცხადი და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლაშა მარგიშვილმა, რომელმაც საბჭოს განუცხადა, რომ დაწესებულებაში ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფის მიერ შენიშვნები არ დაფიქსირებულა. მან საბჭოს მოახსენა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

დაწესებულების მფლობელობაშია ქ. კასპში, გიორგი სააკაძის ქ. №38-ში მდებარე შენობა, რომლის საერთო ფართი შეადგენს 994,5 კვ. მ.-ს. შენობის პირველ სართულზე განთავსებულია სპორტული დარბაზი (450 კვ. მ.). სკოლაში 21 მასწავლებელია, მათგან 5 სერტიფიცირებული პედაგოგი. სკოლას აქვს ვებგვერდი, რომელიც ასრულებს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ფუნქციას. დაწესებულებაში ფიქსირდება 15 ინტერნეტ-ქსელში ჩართული კომპიუტერი.

სხდომის თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

სკოლის დირექტორმა, ბესიკ ნიპარიშვილმა ავტორიზაციის საბჭოს წევრებს წარუდგინა სსიპ - გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული ცნობა, რომლის თანახმადაც, სკოლის მასწავლებელმა, მარინა ნონიაშვილმა, გაიარა სასერტიფიკაციო გამოცდა.

დაწესებულების დირექტორმა აღნიშნა, რომ ეთანხმებოდა ექსპერტთა შეფასებას და შენიშვნა არ დაუფიქსირებია.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში მოსწავლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა, პროგრამების თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსების გათვალისწინებით, მოითხოვა მოსწავლეთა რაოდენობის 300-ით განსაზღვრა.

თავმჯდომარემ მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, ნანა ჭილაძეს, დაეფიქსირებინა პოზიცია დაწესებულების მიერ მოთხოვნილ რაოდენობასთან დაკავშირებით. ცენტრის წარმომადგენელი დაეთანხმა დაწესებულების პოზიციას და აღნიშნა, რომ, ექსპერტთა დასკვნის გათვალისწინებით, დაწესებულებას შეეძლო 300 მოსწავლისთვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - „ბესიკ ნიპარიშვილი” - მრავალპროფილიანი სკოლა - გიმნაზიის მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის 300-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 33-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების, 33¹ მუხლის მე-3 პუნქტისა და 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, შპს - „ბესიკ ნიპარიშვილი“ - მრავალპროფილიან სკოლა - გიმნაზიას მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 300-ით.

4. შპს - ნინო გერგიძე - კერძო მრავალპროფილიანი საშუალო სკოლა „ივერიის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ფურცხვანიძემ, რომელმაც საბჭოს შეახსენა, რომ ექსპერტებს დაწესებულების მიმართ შენიშვნები არ ჰქონიათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა ავტორიზაციის მამიებელი დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეთანხმება ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებს.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების, მატერიალური და ადამიანური რესურსების სტანდარტებთან დაწესებულების შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში მოსწავლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ, პროგრამების თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, დაწესებულება შეძლებს 300 მოსწავლის მიღებას.

თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია დაწესებულების მიერ მოთხოვნილ რაოდენობასთან დაკავშირებით. ექსპერტები დაეთანხმნენ დაწესებულების პოზიციას და აღნიშნეს, რომ სკოლას შესაძლებლობა ექნება, მიიღოს 300 მოსწავლე.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ნინო გერგიძე - კერძო მრავალპროფილიანი საშუალო სკოლა „ივერიის“ ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 300-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე -2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - ნინო გერგიძე - კერძო მრავალპროფილიანი საშუალო სკოლა „ივერიას“ მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 300-ით.

5. შპს - გიმნაზია „21-ე საუკუნის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ბეგიაშვილმა, რომელმაც საბჭოს შეახსენა, რომ ექსპერტებს დაწესებულების მიმართ შენიშვნები არ ჰქონიათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა ავტორიზაციის მამიებელი დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეთანხმება ექსპერტთა ჯგუფის პოზიციას.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების, მატერიალური და ადამიანური რესურსების სტანდარტებთან დაწესებულების შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში მოსწავლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ, პროგრამების თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, დაწესებულება შეძლებს 500 მოსწავლის მიღებას.

თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია დაწესებულების მიერ მოთხოვნილ რაოდენობასთან დაკავშირებით. ექსპერტები დაეთანხმნენ დაწესებულების პოზიციას და აღნიშნეს, რომ სკოლას შესაძლებლობა ექნება, მიიღოს 500 მოსწავლე.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - გიმნაზია „21-ე საუკუნის“ ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 500-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე -2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - გიმნაზია „21-ე საუკუნის“ მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 500-ით.

6. შპს - ევროპული სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის საბჭო დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება ავტორიზაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ფურცხვანიძემ, რომელმაც ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე:

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით

1.1 III-IV კლასებში მოსწავლეები ქულებით ფასდებიან სამ საგანში: მათემატიკა, ქართული ენა, ბუნება. დანარჩენ საგნებში გამოიყენება მხოლოდ განმავითარებელი შეფასება.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა ავტორიზაციის მაძიებელი დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ იგი ეთანხმება საექსპერტო დასკვნას, ამასთან, განმარტა, რომ ექსპერტის მიერ ხსენებული შეფასებები არ შეიტანება მოსწავლეთა პირად საქმეში.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტთან დაწესებულების შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში მოსწავლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ, პროგრამების თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, დაწესებულება შეძლებს 600 მოსწავლის მიღებას.

თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია დაწესებულების მიერ მოთხოვნილ რაოდენობასთან დაკავშირებით. ექსპერტები დაეთანხმნენ დაწესებულების პოზიციას და აღნიშნეს, რომ სკოლას შესაძლებლობა ექნება, მიიღოს 600 მოსწავლე.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ევროპული სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 600-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე -2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის

შესაბამისად, შპს - ევროპულ სკოლას მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 600-ით.

7. შპს - ქართული გიმნაზიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის საბჭო დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება ავტორიზაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ბეგიაშვილმა, რომელმაც ისაუბრა დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე:

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით

1.1 დაწესებულებამ ექსპერტთა ჯგუფს წარუდგინა 2011-2012 წლების სასკოლო საათობრივი ბადე, რომელიც არასრულია და არ მოიცავს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რომელ კლასს რომელი საგანი როდის უტარდება, ვინ ასწავლის, დამატებით რა საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურებას სთავაზობს გიმნაზია მოსწავლეებს;

1.2 სასკოლო სასწავლო გეგმიდან ვერ ირკვევა, თუ რომელი სახელმძღვანელოები აქვს სკოლას არჩეული. სახელმძღვანელოების ჩამონათვალი ექსპერტებმა მოიძიეს დირექტორის ბრძანებების წიგნში;

1.3 სასკოლო სასწავლო გეგმაში არ ფიქსირდება ასევე კლასისა და საფეხურის დაძლევის მინიმალური ბარიერი, რომლის შესახებ ინფორმაცია ექსპერტთა მიერ მოძიებულ იქნა სკოლის შინაგანაწესში;

1.4 ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული აუცილებელი საგნებიდან სკოლაში არ ისწავლება სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოება და ცეკვა;

1.5 საათობრივ ბადეში მოცემული სავალდებულო საგნებიდან დაწესებულების მიერ არ იქნა წარმოდგენილი შემდეგი საგნების სასწავლო გეგმები: ქართული ენა და ლიტერატურა (I, V და VI კლასები), მათემატიკა (I, V და VI კლასები), ინგლისური ენა (არცერთი კლასი), რუსული ენა (არცერთი კლასი), ჩვენი საქართველო (არც ერთი კლასი), ბუნებისმცოდნეობა (ყველა გარდა III კლასისა), ხელოვნება (I, V და VI კლასები), მუსიკა (I, V და VI კლასები), სპორტი (მხოლოდ II კლასის), ისტორია (არცერთი კლასი);

1.6 შეფასების სისტემასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ I – IV კლასებში პერიოდულად ტარდება ტესტირებები და მოქმედებს ჩათვლებით შეფასების სისტემა. ამასთან, მეორე კლასის საკლასო ჟურნალის ბოლოს მოსწავლის გვარის გასწვრივ ვკითხულობთ: “ფრიადოსანი. არის უკიდურესად მაღალი დონის მოსწავლე და ნიჭიერი ბიჭი“, რაც ეწინააღმდეგება ეროვნული სასწავლო გეგმის შეფასების პრინციპებს.

სხდომის თავმჯდომარემ მისცა ავტორიზაციის მაძიებელი დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ივნისის თვის ბოლოს იგი ესწრებოდა შეხვედრას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში, სადაც მინისტრისაგან

შეიტყო ავტორიზაციის ახალი სტანდარტების შესახებ, თუმცა, ფინანსური სახსრების არარსებობის გამო, ვერ შეძლო მათი დაკმაყოფილება. ავტორიზაციის მაძიებლის თქმით, ეს არის უფასო კერძო სკოლა, რომლის ფინანსები მთლიანად მიზმულია ვაუჩერებზე და, შესაბამისად, სკოლას არ აქვს საშუალება, შეიძინოს სასკოლო ლაბორატორია. ამ მოტივით, ავტორიზაციის მაძიებლის განცხადებით, იგი გეგმავს მხოლოდ დაწყებითი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებას.

დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ სასკოლო ჟურნალში ეწერა „ფრიდონ სალია“ - ერთ-ერთი მოსწავლის სახელი და გვარი, და არა - „ფრიადოსანი“.

სხდომის თავჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა დაეფიქსირებინა საკუთარი პოზიცია ექსპერტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებაში გამოთქმულ სხვა გაცილებით უფრო მნიშვნელოვან შენიშვნებთან დაკავშირებითაც.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ იგი ეთანხმება ექსპერტთა მიერ საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით დაფიქსირებულ შენიშვნებს, თუმცა დროის სიმცირის გამო, ვერ მოახერხა მათი გამოსწორება.

2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით

2.1 შპს - ქართულ გიმნაზია ქირავნობის ხელშეკრულების საფუძველზე ფაქტობრივად სარგებლობს ქ. წალენჯიხაში, მაიაკოვსკის ქ. N12-ში არსებული შენობით. თუმცა ქირავნობის ხელშეკრულება არ არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში, შესაბამისად, ვერ დასტურდება დაწესებულების მიერ შენობით კანონიერი სარგებლობის ფაქტი;

2.2 დაწესებულებას არ აქვს ლაბორატორია;

2.3 ბიბლიოთეკაში არ არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი, I-VI კლასების გრიფინიჭებული სახელმძღვანელოები. არ არის გაწერილი ბიბლიოთეკის მუშაობის წესი. წიგნადი ფონდის საინვენტარო წიგნი და კატალოგი სრულად არ ასახავს ბიბლიოთეკაში არსებულ ქონებას, ამასთან ბიბლიოთეკაში განთავსებული სახელმძღვანელოების მხოლოდ ნაწილზე იქნა წარმოდგენილი საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;

2.4 დაწესებულებას არ აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის;

2.5 სკოლას არ აქვს ვებგვერდი;

2.6 დაწესებულებას არ აქვს ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი; ასევე არ არის თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;

2.7 სკოლას არ აქვს სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმი;

2.8 დაწესებულებას არ აქვს უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს;

2.9 დაწესებულებას არ აქვს შემუშავებული განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები.

სხდომის თავჯდომარემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ჰქონდა თუ არა დაწესებულებას ევაკუაციის გეგმა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სკოლაში არ არის ევაკუაციის გეგმები. ამასთან, აღნიშნა, რომ იგი ეთანხმება დაფიქსირებულ შენიშვნებს, გარდა სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმის არქონისა, ვინაიდან, სკოლაში არსებობს აფთიაქი.

საბჭოს წევრმა გაიანე სიმონიამ განუმარტა ავტორიზაციის მაძიებელს, რომ აფთიაქი არ არის საკმარისი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმთან დაკავშირებით სტანდარტის დაკმაყოფილებისათვის.

სხდომის თავჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, მიეცა საბჭოსათვის განმარტება ფართის ფლობასთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, ფართი, რომელშიც სკოლაა განთავსებული, თანასაკუთრებაში აქვთ ფიზიკურ პირებს, აველინა და შოთი კვარაცხელიას, ხოლო შპს - ქართული გიმნაზია ფართს ფლობს ქირავნობის ხელშეკრულების საფუძველზე.

სხდომის თავჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, დაეზუსტებინა, იყო თუ არა ქირავნობის ხელშეკრულება რეგისტრირებული საჯარო რეესტრში.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, ქირავნობის ხელშეკრულება არ არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში.

3. ადამიანურ რესურსთან მიმართებით

3.1 არ იქნა წარმოდგენილი რუსული ენის მასწავლებელ რიმა ბოხუას პირადი საქმე, ასევე პედაგოგ ლუიზა კვარაცხელიას წარმოდგენილი აქვს მხოლოდ ორწლედის ცნობა, ხოლო ისტ პედაგოგ თეა ქარდავას აქვს დიპლომირებული სპეციალისტის კვალიფიკაცია განათლებაში;

3.2 შპს - ქართული გიმნაზიას არ გააჩნია ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები.

სხდომის თავჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, დაეფიქსირებინა პოზიცია ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებთან მიმართებით.

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, იგი ეთანხმება საექსპერტო დასკვნაში აღნიშნულ შენიშვნებს, ამასთან, ექსპერტთა ვიზიტის დროს რიმა ბოხუას გარდაცვლილი ჰყავდა ძმა, ამიტომ ვერ მოხერხდა ექსპერტთათვის მისი საქმის წარდგენა.

სხდომის თავჯდომარემ აღნიშნა, რომ დაწესებულებას უფიქსირდებოდა სერიოზული ხარვეზები, თუმცა გამოუსწორებადი არ იყო არც ერთი მათგანი. რჩევის სახით, მან მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ეზრუნა შენობის ქირავნობის ხელშეკრულების რეგისტრაციაზე, ამასთან საექსპერტო დასკვნაში დაფიქსირებული ყველა ხარვეზი გამოესწორებინა და მხოლოდ მათი აღმოფხვრის შემდეგ, თუ მას ექნებოდა ამის სურვილი, შემოეტანა ცენტრში ახალი საავტორიზაციო განაცხადი.

საბჭოს წევრმა ანა კლდიაშვილმა დამატებით აღნიშნა, რომ მატერიალური რესურსის პარალელურად იყო ძალიან მნიშვნელოვანი შენიშვნები საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით.

საბჭოს წევრმა გაიანე სიმონიამ ურჩია დაწესებულების წარმომადგენელს, ახალი საავტორიზაციო განაცხადის წარმოდგენამდე კონსულტაციები გაეწეო ცენტრში.

დაწესებულების წარმომადგენელმა მიმართა კითხვით საბჭოს, როდის შეეძლო ახალი საავტორიზაციო განაცხადის წარმოდგენა.

სხდომის თავჯდომარემ სთხოვა ცენტრის წარმომადგენელს განმარტება მოცემულ საკითხთან დაკავშირებით.

ცენტრის წარმომადგენელმა ნანა ჭილაძემ, განმარტა, რომ დაწესებულება არ იყო შეზღუდული განაცხადის წარმოდგენის ვადებში და ნებისმიერ დროს შეეძლო მოემართა ცენტრისათვის ახალი საავტორიზაციო განაცხადით.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების, მატერიალური და ადამიანური რესურსების სტანდარტებთან დაწესებულების შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტები არ არის დაკმაყოფილებული.

თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ქართული გიმნაზიის ავტორიზაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0
წინააღმდეგი -6

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე -2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-14 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და 26-ე მუხლის შესაბამისად, შპს - ქართულ გიმნაზიას უარი ეთქვას ავტორიზაციაზე.

8. შპს „სინათლე“-ის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის საბჭო დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება ავტორიზაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლიკა გიორგაძემ, რომელმაც ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე:

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით

1.1 სასკოლო სასწავლო გეგმიდან არ ჩანს, როგორ ახორციელებს დაწესებულება მისიის პუნქტს - „შეაყვაროს და შეასწავლოს მოსწავლეებს ფოლკლორი, ტარდიციული ხელსაქმე“. სასკოლო სასწავლო გეგმაში არ ფიქსირდება აქტივობა, რომელიც დაადასტურებს აღნიშნული პუნქტის განხორციელებას. ასევე, სკოლის მისიაა - „ჯანსაღ გარემოში აღზარდოს ჰარმონიულად განვითარებული სწორი პროფესიული ორიენტაციის ახალგაზრდა“, თუმცა, სასკოლო სასწავლო გეგმიდან არ იკვეთება, როგორ უვითარებს სკოლა მოსწავლეს სწორ პროფესიულ ორიენტაციას.

1.2 სკოლამ წარმოადგინა 2010-2011 წ.წ. სასკოლო სასწავლო გეგმა და 2011-2012 წ.წ. სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი. აღსანიშნავია, რომ სკოლის დასახელება, როგორც დაწესებულება დოკუმენტაციაში საკუთარ თავს მოიხსენიებს, მიუთითებს უცხო ენების გაძლიერებულ სწავლებაზე. ამასვე მიუთითებს მისიის ერთ-ერთი პუნქტი, თუმცა, სკოლის 2010-2011 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა თავის საათობრივ ბადეში და ესგ-თი გათვალისწინებული ან გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურება, არ ასახავს უცხო ენების გაძლიერებულ სწავლებას.

რაც შეეხება 2011-2012 წლის სასწავლო გეგმის პროექტს, მის საათობრივ ბადეში წარმოდგენილია დამატებითი საათების რაოდენობა უცხო ენის შესწავლაზე, თუმცა, საყურადღებოა, რომ პროექტში წარმოდგენილ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებაში არ ფიქსირდება უცხო ენების შესწავლა. შესაბამისად, თუ საათები ისწავლება სტანდარტით განსაზღვრულ საათობრივ ბადეში, და გავითვალისწინებთ სხვა საგნების დამატებით საათებს, მაშინ დარღვეულია ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საათობრივი დატვირთვის საგნებზე გადანაწილების ცვლილების დასაშვები 25%-იანი მოცულობა.

1.3 2010-2011 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა დამტკიცებულია 2011 წლის 13 სექტემბრის პედსაბჭოს ოქმით №2, თუმცა დირექტორის ბრძანება №27/3 „საკოლის სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“ დათარიღებულია 2010 წლის 10 სექტემბრით, პედსაბჭოს №2 ოქმის საფუძველზე და ანალოგიურად არის გატარებული ბრძანებების ჟურნალში.

მეორე ბრძანება ანალოგიური ნომრით №27/3 და თარიღით 10.09.2010, ეხება სასკოლო სასწავლო გეგმის შემმუშავებელი ჯგუფის შექმნას და ეფუძნება პედსაბჭოს ოქმს №1, რომელიც დათარიღებულია 01.09.2010-ით.

1.4 2010-2011 წლის სასკოლო სასწავლო გეგმით წარმოდგენილი საათობრივი ბადე არ შეესაბამება 2010-2011 სასწავლო წლის ეროვნულ სასწავლო გეგმას. კერძოდ,

- მე-4 კლასში არ არის გათვალისწინებული საგანი „თავდაცვა და უსაფრთხოება“;
- მე-5 კლასში არ არის გათვალისწინებული საგანი „ჩვენი საქართველო“;
- მე-6 კლასში არ არის გათვალისწინებული საგანი „შრომითი სწავლება“.

აღნიშნული საგნები ამოვარდნილია დაწყებითი საფეხურის საათობრივი ბადიდან.

1.5 2010-2011 წლის სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით, სკოლა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ საგანმანათლებლო მომსახურებას ეწევა მხოლოდ ჭადრაკის სწავლებით, თუმცა, ჭადრაკის სწავლებასთან დაკავშირებით პროგრამა არ იქნა წარმოდგენილი.

1.6 2010-2011 წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია გრიფინიჭებული სახელმძღვანელოების ნუსხა ყველა კლასისათვის. აღსანიშნავია, რომ სახელმძღვანელოების ნუსხაში არის რამდენიმე ხარვეზი:

- საათობრივ ბადეში არ არის გათვალისწინებული ინგლისურის საათები მე-2 კლასში, თუმცა სახელმძღვანელოების ნუსხაში მითითებულია ინგლისური ენის სახელმძღვანელო;
- მე-11 კლასში არ არის მითითებული ინგლისური ენის სახელმძღვანელო;
- მე-12 კლასში მითითებულია არა სახელმძღვანელო, არამედ მხოლოდ ტესტების კრებული.

1.7 2010-2011 წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია ინკლუზიური განათლების პრინციპები - ეროვნული სასწავლო გეგმის ანალოგიური. სკოლას არ აქვს მოდიფიცირებული სასწავლო გეგმის ჩარჩო.

1.8 2011-2012 წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში, ეროვნულ სასწავლო გეგმის შესაბამისი საათობრივი ბადისაგან განსხვავებით, დამატებულია საათები პირველ და მეორე უცხო ენებზე ყველა კლასში, რაც შეესაბამება სკოლაში უცხო ენის გაძლიერებული სწავლების პრინციპს. ასევე, დამატებულია საათები რიგ საგნებზე თითქმის ყველა კლასში, რის გამოც, დაწყებითი საფეხურის საათობრივ ბადეში ცვლილებების მოცულობა აჭარბებს დასაშვებ 25%-ს. ამასთან, სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში არ არის განსაზღვრული, აღნიშნული დამატებითი საათები სავალდებულო სახითა შემოტანილი თუ ფაკულტატურია.

1.9 საათობრივ ბადეში დაწყებით საფეხურზე არ არის საგანი „ცეკვა“.

1.10 2011-2012 წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტის მიხედვით, სკოლა, ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ საგანმანათლებლო მომსახურებას ეწევა მხოლოდ ჭადრაკის სწავლებით. სპეციალური სასწავლო გეგმა ჭადრაკის სწავლებასთან დაკავშირებით არ არის.

1.11 2011-2012 წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი არ მოიცავს გრიფინიჭებული სახელმძღვანელოების ჩამონათვალს.

1.12 პროექტში არ არის გაწერილი ინკლუზიური განათლების შესახებ.

1.13 პროექტში არ არის წარმოდგენილი სადამრიგებლო პროგრამა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტს, როგორ შეიძლებოდა სკოლას დაეფიქსირებინა დოკუმენტის სახით მისიის პუნქტის განხორციელება, ფოლკლორისა და ტრადიციული ხელსაქმის შესახებ. ლიკა გიორგაძემ აღნიშნა, რომ სტანდარტის მიხედვით, ექსპერტმა უნდა შეაფასოს რამდენად გამომდინარეობს სასკოლო სასწავლო გეგმა დაწესებულების მისიიდან, შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფმა ამ მიმართულებით შენიშვნა დააფიქსირა, უფრო ზუსტად კი ექსპერტთა ჯგუფის წევრს, კახა ჟღენტს, შეეძლო, საბჭოსათვის მოეხსენებინა.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, კახა ჟღენტმა, აღნიშნა, რომ ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, უნდა არსებობდეს ჩამონათვალი, რას სთავაზობს სკოლა მოსწავლეებს. თუ სკოლა ხაზს უსვამს მისიაში ფოლკლორისა და ტრადიციული ხელსაქმის შესწავლას და ა.შ., ექსპერტთა ჯგუფმა ჩათვალა, რომ სასკოლო სასწავლო გეგმაში აღნიშნული უნდა ყოფილიყო ასახული დამატებითი მომსახურებების სახით, ან სხვა დოკუმენტში ყოფილიყო დაფიქსირებული აღნიშნულის შესახებ.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა ავტორიზაციის მამდიებელი დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ექსპერტის მიერ დაფიქსირებულ ყველა შენიშვნას ეთანხმებოდა, თუმცა რამდენიმე საკითხთან დაკავშირებით სურდა პოზიციის დაფიქსირება. კერძოდ, ცეკვის სწავლებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ სკოლამ სასწავლო წლის მეორე ნახევარში შევიტანა საგანი „ცეკვა“, ამიტომ სასკოლო სასწავლო გეგმის პირველ ნაწილში ის დაფიქსირებული ვერ იქნებოდა. დაწესებულებამ ჯერ სასკოლო სასწავლო გეგმის პირველი ნაწილი დაამტკიცა და შემდეგ მეორე, რომელშიც „ცეკვა“ უკვე წარმოდგენილი იყო. ჭადრაკისა და ცეკვის საგნობრივი პროგრამები ნამდვილად არსებობდა სკოლაში, მაგრამ ექსპერტებს ვერ წარუდგინეს, რადგან პირველი შემთხვევა იყო, როდესაც ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა დაწესებულებაში, რამაც გარკვეული დაზნეულობა და ნერვიულობა გამოიწვია.

ასევე, ხარვეზები დაფიქსირებულია 2011-2012 წლის სასწავლო გეგმაში, რომელიც იყო პროექტი და არ იყო დამტკიცებული. ის უნდა დამტკიცებულიყო მას შემდეგ, რაც პედაგოგთა შეიკრიბებოდა. თავადაც იცოდნენ, რომ სასკოლო სასწავლო გეგმა დასახვეწი იყო, ფაქტიურად სამუშაო ვარიანტი წარუდგინეს ექსპერტებს. ვიზიტის შემდეგ დაწესებულებამ დახვეწა სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი, რომელიც შემდეგ დამტკიცდა.

სხდომის თავმჯდომარის თქმით, გასული სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმითაც არ დასტურდებოდა, რომ უცხო ენების გაძლიერებული სწავლებას უზრუნველყოფენ.

დაწესებულების წარმომადგენელმა მიუგო, რომ სკოლას ასეთ ოფიციალურ სტატუსზე პრეტენზია არც აქვს. აქამდე სკოლა ხელმძღვანელობდა იმ სასწავლო გეგმით, რომელსაც განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო სთავაზობდათ უცხო ენების გაძლიერებული სწავლებისათვის.

რაც შეეხება ბრძანებებზე მითითებულ თარიღებთან დაკავშირებით გამოთქმულ შენიშვნებს, ამისი ერთადერთი ახსნა არის ის, რომ კანცელარიის წარმომადგენელმა დაუშვა შეცდომა. 12 სექტემბერს მიღებულ იქნა საქმისწარმოების ახალი წესი და უკვე სკოლას ყვალანაირი რესურსი აქვს, რომ ყველაფერი მოწესრიგებულად გაკეთდეს.

ზადიდან ამოვარდნილ საგნებთან დაკავშირებით წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ზემოაღნიშნული საგნები ნამდვილად ისწავლებოდა სკოლაში, ამისი დაფიქსირება ჟურნალის და ცხრილის მიხედვით შეიძლებოდა, უბრალოდ შესაძლოა, სასწავლო გეგმაში არ ჩანდა.

2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით

2.1 დაწესებულება, წარმოდგენილი თვითშეფასების კითხვარის მიხედვით, ფლობს ქ. გორი, გმირების ქ. N28-ში მდებარე შენობის 400 კვ. მ. თუმცა, ფართთან დაკავშირებით გაფორმებულ ხელშეკრულებაში ფართის მისამართად ფიქსირდება ქ. გორში, კუტუხოვის ქ. N28-ში მდებარე უძრავი ქონება - 530 კვ. მ. მიწის ნაკვეთი მასზე განთავსებული შენობა ნაგებობების საერთო ფართობი 136.8 კვ. მ. (მათ შორის საცხოვრებელი ფართი 101.3 კვ. მ. დამხმარე ფართი 35,5 კვ. მ.), ნ/სარდაფი 57.8 კვ. მ. ადმინისტრაციის განმარტებით, კუტუხოვის და გმირების ქუჩა ერთიდაიგივე ქუჩაა. საკადასტრო ნახაზი წარმოდგენილი არ იქნა.

2.2 სკოლამ წარმოადგინა ასევე იჯარის ხელშეკრულება, რომლის ყველა გვერდი არ არის დამოწმებული ხელმოწერითა და ბეჭდით, ასევე, მასზე მითითებული თარიღი (2011 წლის 8 სექტემბერი) - გადასწორებულია. ხელშეკრულების საგანია 500 კვ. მ. ფართი. სკოლამ წარმოადგინა შენობის გეგმა, თუმცა ფართი გამიჯნული არ არის და ვერ ხდება ფართის იდენტიფიცირება შენობის მთლიანი ფართიდან. ვიზიტის განმავლობაში არ იქნა წარმოდგენილი ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.

2.3 დაწესებულების ფართზე, პირველ სართულზე განთავსებულია სპორტული დარბაზი, თუმცა, ვიზიტის პერიოდში აღნიშნულ დარბაზში განთავსებული იყო სასკოლო წიგნების მაღაზია. სკოლის წარმომადგენელმა ექსპერტთა ჯგუფს განმარტა, რომ სასწავლო წლის დაწყებისთანავე

მაღაზია ფუნქციონირებას შეწყვეტდა. აღსანიშნავია, რომ ფართის მისამართი დაფიქსირებულია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ვებგვერდზე, როგორც წიგნების მაღაზია.

2.4 დაწესებულების მეორე ფართი აღჭურვილია ინვენტარით, თუმცა, აღსანიშნავია, რომ საკლასო ოთახებში განლაგებულია ორადგილიანი და სამადგილიანი (სულ 45 ცალი) მერხი, მათგან უმრავლესობას აქვს გადაბმული სკამები. აღნიშნული ინვენტარის ფლობა, დოკუმენტურად, არ დასტურდება.

2.5 სკოლამ წარმოადგინა შპს - „ინსტა ჯორჯიასთან“ 2011 წლის 7 აგვისტოს დადებული ხელშეკრულება ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგია-ანატომიის სასკოლო ლაბორატორიების აღჭურვილობის შესყიდვაზე. ხელშეკრულების თანახმად, სკოლას თანხის 50% უკვე გადახდილი უნდა ჰქონოდა ვიზიტის პერიოდში, თუმცა, თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი წარმოდგენილ არ იქნა. დირექტორის განმარტებით, ხელშეკრულება გაფორმდა არა 7 აგვისტოს, არამედ 7 სექტემბერს, ამიტომ, თანხა დაწესებულებას ჯერ კიდევ არ ჰქონდა გადარიცხული.

2.6 დაწესებულების 2 ოთახს არ აქვს ბუნებრივი განათება.

2.7 წიგნადი ფონდის გადამოწმებისას აღმოჩნდა, რომ სკოლის მიერ შერჩეული სახელმძღვანელოების მხოლოდ 50% იყო ბიბლიოთეკაში, დირექტორის განმარტებით წიგნები მასწავლებლებს აქვთ გატანილი, თუმცა წიგნების მოძრაობის წიგნი არ იქნა წარმოდგენილი.

2.8 ბიბლიოთეკის წიგნთსაცავი, სამკითხველო დარბაზი და კომპიუტერების კლასი ერთ ოთახშია განთავსებული. ბიბლიოთეკაში არის ერთი მაგიდა, სადაც ერთდროულად შესაძლებელია 8 მოსწავლის განთავსება (იმ შემთხვევაში თუ იქ კომპიუტერები არ იქნება დალაგებული. კომპიუტერების დაწყობის შემთხვევაში მოსწავლეებისათვის ადგილი არ რჩება).

2.9 სკოლამ წარმოადგინა ხელშეკრულება პერსონალური კომპიუტერების და ერთი პრინტერის შესყიდვის თაობაზე, რომელის მიხედვით, ტექნიკის ღირებულება უნდა დაიფაროს 12 თვის განმავლობაში (ხელშეკრულებაში ტექნიკური სპეციფიკაციები არ არის აღწერილი) ვიზიტის პერიოდში თანხის გადარიცხვის დოკუმენტი არ იქნა წარმოდგენილი. დირექტორის განმარტებით, თანხა ჯერ არ ჰქონდათ გადარიცხული.

2.10 სკოლის თვითშეფასების კითხვარის მიხედვით, სკოლას აქვს ვებგვერდი, რომლის მისამართია www.sinatle.ge. ვიზიტის პერიოდში ვებგვერდზე შესვლისას ხდებოდა გადამისამართება serv.ge-ze, რომლის მიხედვითაც ირკვეოდა, რომ ანგარიში დროებით შეჩერებულია.

2.11 დაწესებულებამ წარმოადგინა ერთკამერიანი ვიდეო-სათვალთვალო სისტემის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი, ვიდეო კამერა ვიზუალურად ვერ დაფიქსირდა ვიზიტის პერიოდში, დირექტორის განმარტებით, იგი დროებით მოხსნილი იყო.

2.12 სკოლის მიერ წარმოდგენილ ბრძანებასა და ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალს შორის რიგ შემთხვევაში შესაბამისობა არ იყო. წარმოდგენილ იქნა შემოსული კორესპონდენციისა და დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟურნალი, თუმცა, თვითონ კორესპონდენციები წარმოდგენილი არ ყოფილა; არ იქნა წარმოდგენილი ატესტატების გაცემის წიგნი.

პირველ შენიშვნასთან დკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ქუჩას შეეცვალა სახელწოდება, თუმცა, აღნიშნული მისამართები ერთი და იგივეა. რაც შეეხება ფართებს შორის სხვაობას, როდესაც საჯარო რეესტრში დარეგისტრირდა ფართი, მხოლოდ მეორე სართული იყო დაფიქსირებული საცხოვრებელ ფართად, რადგან მაშინ შენობა იმ მდგომარეობაში არ იყო, როგორშიც დღესაა, თუმცა, დაწესებულება ამჟამად რეალურად იყენებს პირველი სართულის ფართსაც, რისი დადასტურებაც ექსპერტებსაც შეეძლოთ.

სხდომის თავმჯდომარემ დააზუსტა, საჯარო რეესტრში რატომ არ ჰქონდა სკოლას ხელშეკრულება რეგისტრირებული. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ საჯარო რეესტრში დღეისათვის უკვე დაფიქსირებული იყო ფართი დაწესებულების სახელზე, რისი გადამოწმებაც ინტერნეტის მეშვეობითაც შეიძლებოდა.

3. ადამიანურ რესურსთან მიმართებით

მე-5 და მე-8 კლასებში ისტორიას ასწავლის მაია მახაჭაშვილი, რომელსაც დამთავრებული აქვს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სამართლისმცოდნეობის სპეციალობით, მინიჭებული აქვს იურისტის კვალიფიკაცია.

საბჭოს სხდომაზე შესვენება გამოცხადდა 20:34 სთზე.

განახლდა 21:13სთ-ზე.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დაწესებულებასთან დაკავშირებით ბევრი შენიშვნა გამოითქვა, რომლის უყურადღებოდ დატოვებაც არ შეიძლებოდა. პირველ რიგში, ეს საქმის წარმოებას შეეხებოდა.

დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა, მაგრამ აღნიშნა, რომ ყველა ხარვეზი უკვე გამოსწორებული იყო.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საქმისწარმოებაში ასეთი დარღვევების გამოსწორება ასე მარტივად ვერ მოხდებოდა, გარდა ამისა, საბჭო ვალდებული იყო, გადაწყვეტილების მიღებისას ეხელმძღვანელა ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს დაწესებულებაში არსებული მდგომარეობით.

თავმჯდომარემ სხდომაზე დააყენა შპს - „სინათლე“-ის ავტორიზაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 6

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე -2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-14 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და 26-ე მუხლის შესაბამისად, შპს - „სინათლე“-ს უარი ეთქვას ავტორიზაციაზე.

9. შპს - მრავალდარგობრივი გიმნაზია „იბერიის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის საბჭო დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება ავტორიზაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ირმა ნოზაძემ, რომელმაც ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე:

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით

1.1 ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლაში მიმდინარეობდა რემონტი. ძირითადი სამუშაოები დამთავრებული იყო. დარჩენილი იყო ლამინატის დაგება საკლასო ოთახებში, სველი წერტილები მე-4 სართულზე, მოაჯირეები კიბეებზე და სხვა წვრილმანი სამუშაოები.

ნახაზისა და თვითშეფასების კითხვარში წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, შენობაში 14, თუმცა დათვალიერებით მხოლოდ 13-ოთახია. აქედან სასწავლო პროცესისათვის გამოყოფილია 7 საკლასო ოთახი, 1 სამასწავლებლო, 1 დირექტორის კაბინეტი, 1 ბიბლიოთეკა, 1 კომპიუტერების ოთახი, 1 სპორტული დარბაზი, 1 საცურაო აუზი. ნახაზის მიხედვით, 1 ოთახი სკოლამ საშხაპეზად გადააკეთა.

რემონტის გამო მხოლოდ რამდენიმე ოთახში არის განლაგებული მერხები და სკამები - 20 მერხი, 20 სკამი და 3 დაფა, მასწავლებლის 3 მაგიდა. სკოლამ ახალი სტანდარტების გათვალისწინებით ინდემწარმე „ნიაზ კოკობინაძეს“ შეუკვეთა ახალი მერხები (30), სკამები (40), დაფები (10), მასწავლებლის მაგიდები (4) და ჩოგბურთის მაგიდა (1). შეკვეთა უნდა განხორციელდეს არა უგვიანეს 15 სექტემბრისა.

1.2 დაწესებულებას ვიზიტის დროს არ ჰქონდა შესაბამისი ლაბორატორია, თუმცა იგეგმება მისი შეძენა 2011-2012 სასწავლო წლისათვის.

1.3 ყველა საკლასო ოთახში შეყვანილია ცენტრალური გათბობა, მაგრამ არ არის დამონტაჟებული გამათბობელი მოწყობილობები. გამათბობლების დამონტაჟება იგეგმება ამა წლის 15 ნოემბრამდე.

1.4 იმის გამო, რომ ბათუმში ჯერ არ არის გაყიდვაში ახალი გრიფმინიჭებული წიგნები, დირექცია მათ შეძენას გეგმავს უახლოეს დღეებში.

1.5 გიმნაზიის სარგებლობაშია 7 ერთეული კომპიუტერი. 1 კომპიუტერი დგას დირექტორის კაბინეტში, 6 ბიბლიოთეკაში, რომელშიც ტარდება ინფორმატიკის გაკვეთილები. ამ ეტაპზე რემონტის გამო მხოლოდ ერთი კომპიუტერია ჩართული ინტერნეტში.

1.6 სკოლამ შექმნა ვებგვერდი www.iberia.ucoz.com და გააფორმა ხელშეკრულება შპს „კავკასუს ონლაინთან“ GE დომენური სახელის რეგისტრაციისა და მისი მომსახურების შესახებ. საინფორმაციო და საკომუნიკაციო ფუნქციას ასრულებს ასევე სკოლის ელ-ფოსტა: iberia2001@gmail.com. ვებგვერდის გადამოწმება მოხდა ცენტრის მიერ და დადგინდა, რომ ის არ ასრულებს საკომუნიკაციო ფუნქციას.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეთანხმება ექსპერტთა შენიშვნებს. რაც შეეხება გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, ისინი უკვე შეიძინეს მშობლებმა.

თავმჯდომარემ მიმართა კითხვით სკოლის წარმომადგენელს, ხომ არ დაუწყიათ ზრუნვა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული ხარვეზების გამოსასწორებლად და აღნიშნულის დასადასტურებლად ჰქონდა თუ არა წარმოდგენილი რაიმე ხელშეკრულებები.

სკოლის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ჯერჯერობით ხელშეკრულებები არ ჰქონდა გაფორმებული, მაგრამ ლაბორატორიის შეძენა გაწერილი ჰქონდა ერთწლიან გეგმაში და გამოსასწორებდა მითითებულ ხარვეზებს.

საბჭომ არ მიიჩნია არსებითად ის გარემოება, რომ ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლაში სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობდა, მაგრამ სხვა ხარვეზების გათვალისწინებით, საბჭომ მიიჩნია, რომ დაწესებულება არ აკმაყოფილებდა მატერიალურ რესურსის სტანდარტს.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 6

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე -2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-14 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და 26-ე მუხლის შესაბამისად, შპს - მრავალდარგობრივ გიმნაზია „იბერიას“ უარი ეთქვას ავტორიზაციაზე.

11. შპს - „მერცხლის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის საბჭო დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება ავტორიზაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლევან მადათოვმა, რომელმაც ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე:

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით

1.1 შპს - „მერცხალს“ სათანადო წესით აღჭურვილი ლაბორატორიის შესაძენად შპს „ჯეო დეკორთან“ დადებული აქვს ხელშეკრულება და გადარიცხულია თანხის ათი პროცენტი. ამ ეტაპზე ოთახი ლაბორატორიისთვის არ არის გამოყოფილი. კომპიუტერულ კლასში გამოყოფილია კუთხე, სადაც არის ძველი ლაბორატორიის ინვენტარი.

1.2 ბიბლიოთეკაში არ არის მკითხველის ბარათები.

1.3 დაწესებულებაში არ არის დამონტაჟებული უსაფრთხოების კამერები, თუმცა დადებულია შპს „პროფემენ ტექნოლოჯისტთან“ ხელშეკრულება და გადარიცხულია 1300 ლარი 2 ცალი ვიდეო-სამეთვალყურეო კამერის შესაძენად.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეთანხმება ექსპერტთა პოზიციას. ასევე დაადასტურა, რომ ხელშეკრულება, რომელიც დადებული აქვს ვიდეო თვალის შესაძენად სრულ შესაბამისობაშია მატერიალური რესურსების სტანდარტით გათვალისწინებული მოთხოვნებთან. ლაბორატორია იმპორტირების პროცესშია და უახლოეს მიმავალში მიიღებენ. ასევე აღნიშნა, რომ ლაბორატორიის განთავსებას გეგმავდა კომპიუტერების კლასში. იმის გათვალისწინებით, რომ მათ აქვთ ლეპტოპები, რომელთა გადაადგილება არ არის დაკავშირებული მნიშვნელოვან ძალისხმევასთან, აღნიშნულ ლეპტოპებს განთავსებდნენ კლასებში საჭიროების მიხედვით. მკითხველის ბარათთან დაკავშირებით სხდომაზე მკითხველის ბარათის რამდენიმე ნიმუში წარმოადგინეს.

ექსპერტმა ნინო ფეტვიაშვილმა დაადასტურა, რომ პირველი საექსპერტო ვიზიტის შემდეგ სკოლას სრულად ჰქონდა გამოსწორებული პროგრამულ ნაწილში დაფიქსირებული ხარვეზები.

სკოლამ დააყენა შუამდგომლობა, რომ მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა მომხდარიყო 100 მოსწავლით.

თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია დაწესებულების მიერ მოთხოვნილ რაოდენობასთან დაკავშირებით. ექსპერტები დაეთანხმნენ დაწესებულების პოზიციას და აღნიშნეს, რომ სკოლას შესაძლებლობა ექნება, მიიღოს 100 მოსწავლე.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - „მერცხლის“ ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 100-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე -2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - „მერცხალს“ მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 100-ით.

სხდომის თავმჯდომარემ განმარტა უარყოფითი ხმის მიცემის მიზეზი. მისი თქმით, ის შეცდომები, რომლებიც დაწესებულების მიმართ გაჟღერდა, არ უნდა ყოფილიყო, რადგან საგანმანათლებლო დაწესებულებას ერთხელ უკვე ეთქვა უარი ავტორიზაციაზე და მას მეტი ძალისხმევა უნდა გამოეჩინა ხარვეზების გამოსასწორებლად.

12. შპს - „კაი ყმის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ შპს - „კაი ყმის“ წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის საბჭო დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება ავტორიზაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლაშა მარგიშვილმა, რომელმაც ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე:

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით

მხოლოდ მე - 11 კლასში უცხო ენებში გამოიყენება არაგრიფირებული სახელმძღვანელო.

საბჭოს წევრმა, ლალი ღოღელიანმა, განმარტა, რომ, საბჭოს მიერ დამკვიდრებული პრაქტიკის შესაბამისად, უცხო ენების სახელმძღვანელოები, რომლებიც შეესაბამებიან საერთაშორისო სტანდარტებს, შესაძლებელია გრიფირების გარეშე გამოყენებულ იქნეს ქართულ სკოლებშიც. საბჭომ გაიზიარა აღნიშნული მოსაზრება.

2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით

2.1 შპს - „კაი ყმა“ მდებარეობს ქ. თბილისში, მისამართზე: დიდმის მასივი, მეორე კვარტალი, ჩალაძის 4ა. საჯარო რეესტრის ამონაწერიდან ირკვევა, რომ 08/12/2008 წლიდან ფართი შეადგენს 610 კვ. მ.-ს, იჯარის ვადაა 3 წელი და 6 თვე, რომელიც იწურება 2012 წლის 1 იანვარს. თუმცა, დაწესებულების ხელმძღვანელმა წარმოადგინა იჯარის ხელშეკრულების დანართი, რომლის მიხედვით „მეიჯარე“ შპს „იფქლი“ „მოიჯარე“ შპს - „კაი ყმას“ იჯარის ხანგრძლივობას განუსაზღვრავს (საჭიროების შემთხვევაში უგრძელეს) 2012 წლის 12 ივლისამდე.

ამას გარდა დაწესებულებამ წარმოადგინა 26.08.2011 წლის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (საკადასტრო კოდი №01.13.01.018.270; განცხადების რეგისტრაცია №882011405692), საიდანაც ირკვევა, რომ შპს - „კაი ყმა“ მისამართზე: ქ თბილისი, დიდმის მასივი, ლუბლიანას ქუჩა, ნაკვეთი 018/251; 018/253 ფლობს ორსართულიან შენობას, რომლის ფართია 918,43 კვ. მ. ვიზიტის დროს შენობა არ იყო დასრულებული (აშენებული, გადახურული და მიყვანილია შავ კარკასამდე), თუმცა დირექტორის განმარტებით, სკოლა ამ შენობაში გადასვლას გეგმავს 2011 წლის ნოემბერში.

შპს - „კაი ყმას“ დადებული აქვს ხელშეკრულება შპს „დიდოსტატი+“თან, სადაც დაზუსტებულია სამუშაოს დასრულების ვადა - 2011 წლის 1 ნოემბერი. ვიზიტის დროს ექსპერტთა მიერ მოხდა ამ მშენებარე ობიექტის ვიზუალური დათვალიერება.

2.2 შპს - „კაი ყმას“ შპს - „სამაიასთან“ დადებული აქვს ხელშეკრულება ქიმიის, ფიზიკისა და ბიოლოგიის ლაბორატორიის შეძენასთან დაკავშირებით. ქიმიისა და ბიოლოგიის ლაბორატორია უკვე მოწოდებულია და განთავსებულია კარადებში. ამჟამად სკოლას ლაბორატორიისთვის განკუთვნილი კლასი არ აქვს (არ არის შესაბამისი გამწოვი, ონკანები), თუმცა, დირექტორის განმარტებით, ახალ შენობაში იგეგმება ახალი თანამედროვე სტანდარტებით და სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორიის მოწყობა.

2.3 ვიზიტის დროს სკოლაში დაიწყო სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის გამაკონტროლებელი უსაფრთხოების კამერების დამონტაჟება საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესების შესაბამისად.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა, ჰქონდათ თუ არა ნანახი ავტორიზაციის ექსპერტებს უსაფრთხოების კამერების შესყიდვის დოკუმენტაცია. ავტორიზაციის ექსპერტმა დაადასტურა, რომ შპს - „კაი ყმას“ შესყიდული ჰქონდა უსაფრთხოების კამერები და მიმდინარეობდა მათი სკოლაში დამონტაჟება. შესაბამისად, ავტორიზაციის საბჭოს წევრებმა მიიჩნიეს, რომ მოცემულ საკითხთან დაკავშირებით პრობლემა არ არსებობდა.

საბჭოს წევრმა, ლალი ლოღელიანმა, აღნიშნა, რომ ექსპერტთა დასკვნის თანახმად, დაწესებულებას, შპს - „სამაიასგან“ შეძენილი ჰქონდა ქიმიის, ფიზიკისა და ბიოლოგიის ლაბორატორიები. შესაბამისად, მისი აზრით, ლაბორატორიებისათვის კონკრეტული ოთახის გამოყოფა დაწესებულებისათვის პრობლემას არ წარმოადგენდა. შპს - „კაი ყმის“ დირექტორმა აღნიშნა, რომ ახალ შენობაში მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები, რომლის დასრულების შემდეგაც, ლაბორატორიების მოსაწყობად ისინი აუცილებლად გამოყოფდნენ სათანადო ოთახს.

დაწესებულების დირექტორმა დაამატა, ლუბლიანას ქუჩაზე არსებული შენობა საბჭოს სხდომის დღისათვის მიყვანილი იყო თეთრი კარკასის მდგომარეობამდე. აღნიშნულის დამადასტურებლად სკოლის დირექტორმა, თამარ ჩანტლაძემ, საბჭოს წევრებს წარუდგინა სათანადო ფოტომასალა. ავტორიზაციის ექსპერტმა ნინო ფეტვიაშვილმა დაადასტურა, რომ ფოტომასალაზე აღბეჭდილი შენობა-ნაგებობა ნამდვილად იყო ლუბლიანას ქუჩაზე, შპს „კაი ყმის“ მფლობელობაში არსებული შენობა.

შპს - „კაი ყმის“ წარმომადგენელმა განმარტა, რომ სავარაუდოდ, დაწესებულება ლუბლიანის ქუჩაზე მდებარე შენობაში გადავიდოდა 2012 წლის იანვრის სასკოლო არდადეგების დროს, მანამდე კი სასწავლო პროცესი წარიმართებოდა ჩალაძის №4ა-ში მდებარე შენობა-ნაგებობაში. ლალი ლოღელიანი დაინტერესდა, იყო თუ არა შესაძლებელი საბუნებისმეტყველო ლაბორატორიების განთავსება ჩალაძის №4ა-ში მდებარე შენობაში. სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ ამ შენობაშიც შესაძლებელი იყო ლაბორატორიების განთავსება. აღნიშნულ მოსაზრებას დაეთანხმა ავტორიზაციის ექსპერტი, ნინო ფეტვიაშვილიც.

საბჭომ იმსჯელა მატერიალური რესურსის სტანდარტთან დაწესებულების შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში მოსწავლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ, პროგრამების თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, დაწესებულება შეძლებს 180 მოსწავლის მიღებას.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, ნანა ჭილაძეს, დაეფიქსირებინა პოზიცია დაწესებულების მიერ მოთხოვნილ რაოდენობასთან დაკავშირებით. ცენტრის წარმომადგენელი დაეთანხმა დაწესებულების პოზიციას და აღნიშნა, რომ დაწესებულებას შეეძლო 180 მოსწავლისთვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - „კაი ყმის“ ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 180-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - „კაი ყმას“ მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 180-ით.

13. შპს - რობერ შუმანის სახელობის ევროპული სასწავლებლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ შპს - რობერ შუმანის სახელობის ევროპული სასწავლებლის წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის საბჭო დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება ავტორიზაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლაშა მარგიშვილმა, რომელმაც ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე:

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით

დაწესებულების ვებგვერდი ჯერ კიდევ დახვეწის პროცესშია.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა ავტორიზაციის მამიებელი დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მთლიანად იზიარებდა ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნაში გამოთქმულ მოსაზრებებს და განმარტა, რომ შპს - რობერ შუმანის სახელობის ევროპული სასწავლებლი შეიქმნა ოთხი სკოლის გაერთიანების შედეგად. შესაბამისად, მიმდინარეობდა ვებგვერდის დახვეწა და ისეთ კონდინციამდე მიყვანა, რომ მას შეესრულებინა საინფორმაციო ფუნქცია. დაწესებულების დირექტორმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ 2011 წლის 20 სექტემბრისთვის შპს - რობერ შუმანის სახელობის ევროპული სასწავლებლის ვებგვერდი rshumanchool.designex.ge ფუნქციონირებდა.

საბჭომ იმსჯელა მატერიალური რესურსის სტანდარტთან დაწესებულების შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში მოსწავლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ, პროგრამების თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, დაწესებულება შეძლებს 1400 მოსწავლის მიღებას.

თავმჯდომარემ მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, ნანა ჭილაძეს, დაეფიქსირებინა პოზიცია დაწესებულების მიერ მოთხოვნილ რაოდენობასთან დაკავშირებით. ცენტრის წარმომადგენელი არ დაეთანხმა დაწესებულების პოზიციას და აღნიშნა, რომ დაწესებულებას შეეძლო 1350 მოსწავლისთვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - რობერ შუმანის სახელობის ევროპული სასწავლებლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1350-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - რობერ შუმანის სახელობის ევროპულ სასწავლებელს მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1350-ით.

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა 22:25 საათზე.

იოსებ სალუქვაძე
თავმჯდომარე

გაიანე სიმონია
მდივანი


გ. სიმონია